



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030194356421520

№ 01-265/თ

12 / ივნისი / 2020 წ.

„საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონავეული ინფექციის (COVID-19) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საექვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, სამედიცინო დაწესებულებების მობილიზების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის № 01-231/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონავეული ინფექციის (COVID-19) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საექვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, სამედიცინო დაწესებულებების მობილიზების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის № 01-231/თ ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ქვემოთ ჩამოთვლილი სამედიცინო დაწესებულებები 2020 წლის 1 ივლისიდან უფლებამოსილნი არიან გააგრძელონ/ალადგინონ სამედიცინო მომსახურება კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული სანებართვო დანართებით განსაზღვრული საქმიანობის ფარგლებში:

ა) სს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი;

ბ) შპს აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკა;

გ) სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა“;

დ) შპს აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა;

ე) შპს აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა - რუხი;

ვ) შპს თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო;

ზ) შპს ლჯ და კომპანია დასავლეთ საქართველოს ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრი;

თ) შპს მედალფა" ბათუმის კლინიკა;

ი) სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი;


კ) სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება;

ლ) შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი.“.

2. დაევალოს სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს უზრუნველყოს ამ ბრძანების შესახებ სამედიცინო დაწესებულებების ინფორმირება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელემენტრონულად 

ეკატერინე ტიკარაძე